

ენერგეტიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციები

თანამედროვე მსოფლიო ახალი გამოწვევებისა და პრობლემების წინაშე დგას და ამ გამოწვევებში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გლობალური დათბობაა, რამაც კაცობრიობა შესაძლებელია გამოუსწორებელ შედეგებამდე მიიყვანოს. უარყოფითი შედეგები უკვე სახეზეა და ისინი ყოველწლიურად უფრო და უფრო დიდ მასშტაბებს იძენენ. პრაქტიკულად ყველა ქვეყანამ აღიარა, რომ ამ პრობლემას სასწრაფოდ სჭირდება გადაწყვეტა. ამ მიმართულებით მიღებულია საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტები, რომელთაც კანონის ძალა გააჩნიათ და რომელთა შესრულებისათვის ძალისხმევას არ იშურებენ განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნები და შესაბამისი სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სტრუქტურები.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ მიკუთვნება მსოფლიო წამყვანი სახელმწიფოების რიგებს თავისი ფინანსური თუ სხვა რესურსებიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტაში საქართველომაც უნდა მიიღოს აქტიური მონაწილეობა. საქართველო პატარა ქვეყანაა და მისი წვლილი თითქოს მცირე უნდა იყოს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ საკმაოდ მნიშვნელოვან პოტენციალს განახლებადი და, პირველ რიგში, ჰიდროენერგეტიკული რესურსებისა, შესაძლებელია მან რეგიონულ ჭრილში ამ მიმართულებით ლიდერის როლიც კი შეასრულოს. აქვე შეიძლება მოვიყვანოთ რამდენიმე ციფრი ჩვენი ქვეყნის განახლებადი ენერგეტიკული რესურსების შესახებ. Kსაქართველოში კვლევები ამ მიმართულებით გასული საუკუნის დასაწყისიდან მიმდინარეობს. ჰიდროენერგეტიკული რესურსების ხვედრითი ტექნიკური პოტენციალის მიხედვით საქართველოს ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უკავია მთელ მსოფლიოში. მთელი ჩამონადენის წლიური თეორიული ენერჯია საქართველოში 220 მლრდ. კვტ.სთ-ია, სიმძლავრე_26.1 ათასი მგვტ. მდინარეთა ძირითადი ნაწილის პოტენციური ენერჯია 137 მლრდ. კვტ.სთ-ია (13.6 მლნ ტნე/წ), სიმძლავრე_15.6 ათასი მგვტ. მდინარეების ჩამონადენის ჯამური პოტენციალი მეტად მცირე მდინარეების პოტენციალთან ერთად 160 მლრდ. კვტ.სთ-ია, სიმძლავრე_18.3 ათასი მგვტ. ძირითადი მდინარეების საშუალო წლიური ტექნიკური ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი 80-85 მლრდ. კვტ.სთ-ის ფარგლებშია (6.9-7.4 მლნ. ტნე/წ), ეკონომიკურად ეფექტიანი ნაწილის სავარაუდო პოტენციალი კი დაახლოებით 32-50 მლრდ. კვტ.სთ-ს უტოლდება. ამ პოტენციალში საკმაოდ დიდი ნაწილი სწორედ მცირე ენერგეტიკაზე მოდის, რომელიც განახლებადი ენერგეტიკის კატეგორიას მიეკუთვნება

ამჟამად ენერგობაზარზე 13 ჰესი-ლიცენზიანტია. მათ მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯია იცვლება ენერგობაზარის შეკვეთის და მოხმარებული ენერჯიის საფასურის ამოღების მიხედვით. ასევე მცირე ელექტროსადგურების რაოდენობა 27მდეა. მცირე ჰესების წილი ჰესების მთელ ჯამურ სიმძლავრეში 3.1% შეადგენს, ელექტროენერჯიის გამომუშავებაში -

5.35%, გამომუშავების წლიურ საერთო ბალანსში (თბოელექტროსადგურების ჩათვლით) - 3.8%, სიმძლავრეში კი - 1.9%. საქართველოში ელექტროენერჯის წარმოების განვითარებას ხელს უწყობს: ზოგადად ეკონომიკის განვითარება, ეკონომიკის იმ დარგების განვითარება, რომელშიც ელექტრო ენერჯის მოხმარება მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, მოსახლეობის დემოგრაფიული ზრდა (რაც მეტია მომხმარებელი მით მეტი ელექტროენერჯია იქნება საჭირო), ავტოწარმოების ტენდენცია (ენერჯის მნიშვნელოვან მომხმარებლებს წარმოადგენენ ავტომობილები და თუ ისინი ჰიბრიდულ საწვავზე გადავლენ ელექტრო ენერჯიაზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად გაიზრდება). ელექტროენერჯის წარმოებით გარდა ჰიდროელექტროსადგურებისა დაკავებულნი არიან ასევე განახლებადი ენერჯის წყაროებში შემავალი ქარის, მზის, გეოთერმულ წყლებზე მომუშავე დანადგარები. ქვეყნებში, რომლებიც მდიდარნი არიან გაზითა და ნავთობპროდუქტებით ელექტრო ენერჯის წარმოება ძირითადად თბოელექტროსადგურებში ხდება, ასეთი ქვეყნებია რუსეთი, ნიგერია, ვენესუელა, არაბეთის ქვეყნები და ა.შ. მთელ რიგ ქვეყნებში, ძირითადად კი განვითარებულ ქვეყნებში ენერჯის მნიშვნელოვან ნაწილს ატომური ელექტროსადგურები აწარმოებენ, მაგალითად საფრანგეთი, რომლის ენერგოდამოუკიდებლობა დიდადაა დამოკიდებული აესებში წარმოებულ ელექტროენერჯიაზე. ყოველივე აქედან გამომდინარე თბოელექტროსადგურები და ატომური ელექტროსადგურები შეგვიძლია ჰიდროელექტროსადგურების მონათესავე დარგებად ჩავთვალოთ. რაც შეეხება საქართველოს ენერგოსისტემას, ჩვენს ქვეყანაში ელექტროენერჯია მხოლოდ თბო- და ჰიდროელექტროსადგურებში იწარმოება, ატომური ელექტროსადგური საქართველოში არ ფუნქციონირებს.

სტაბილური ეკონომიკური ზრდის შედეგად თანდათანობით იზრდება მოთხოვნა ელექტროენერჯიაზე. ვფიქრობთ, რომ 2015-2016 წლისათვის დაიწყება ელექტრომობილების მასიური წარმოება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მოთხოვნას ელექტროენერჯიაზე. ელექტროენერჯეტიკაში დაუტვირთავი, ე.წ. „ჭარბი“ დადგმული სიმძლავრე ანუ ელექტროსადგურების პოტენციალური შესაძლებლობა 30%-ით მაინც უნდა სჭარბობდეს ნომინალურ მოთხოვნას. დღეისთვის საქართველოში 40 ჰესის მშენებლობის პროექტი ხორციელდება, რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 1872 მგვტ-ია ხოლო საშუალო წლიური გამომუშავება 7350 მლნ კვტ/სთ-ს აჭარბებს. აღნიშნულ პროექტებში განსახორციელებელი სავარაუდო ინვესტიცია 3 მილიარდ აშშ დოლლარს აღწევს. ჰიდროელექტროსადგურების ძირითადი ნაწილის მშენებლობა 2018 წლისთვის დასრულდება. ენერჯეტიკა ისეთ ფაქტორს წარმოადგენს პოლიტიკაში რომელსაც გავლენა აქვს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის შედეგებზე, ასევე ის შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც პოტენციური იარაღი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებსათვის. ენერგო უსაფრთხოების გაძლიერება ენერგო რესურსების იმპორტის ქვეყნების ეროვნული უსაფრთხოების დღის წესრიგის ძირითად მოტივს წარმოადგენს, მაშინ როცა ენერგო ექსპორტის ქვეყნების პოლიტიკის ძირითად მიზანს არ წარმოადგენს სტაბილური ბაზრებით უზრუნველყოფა. ნავთობით და ენერგო მასალებით სტაბილური უზრუნველყოფა, საომარი ვითარების ჩათვლით, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკისა და სამხედრო დაგეგმარების

მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. როდესაც საერთაშორისო ენერგო ბაზრის პირობებში ვითარება იძაბება, ენერგეტიკას ტენდენცია აქვს გამორჩეულ ფაქტორად იქცეს ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში და ყველაზე მაღალი პრიორიტეტი მიენიჭოს მას პოლიტიკურ დღის წესრიგში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო – www.minenergy.gov.ge
2. თავაძე გ., ჩომახიძე დ., ქავთარაძე ი., მენაბდე დ. 2006. *ენერგეტიკის რეგულირება: თეორია და პრაქტიკა*. თბილისი.
3. პროფესიონალური საკონსულტაციო მომსახურება – ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევა და პროექტები: ენერგოსექტორის განვითარების გარემოზე ზემოქმედების სტრატეგიული შეფასება, საბოლოო ანგარიში, თბილისი, 2007 წლის დეკემბერი.
4. არველაძე რ. კერესელიძე ნ. 2000. XX საუკუნის ენერგეტიკა – მისი შემდგომი პრობლემები და პერსპექტივები. *ენერჯია*. ¹ 4. 3-13.
5. www.minenergy.gov.ge
6. <http://georgia.usaid.gov/ka/node/31>
7. www.energo-pro.ge
8. www.telasi.ge
9. www.esco.ge